პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 259 (9419) | პარასკევი, 31 ოქტომბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გააჩაღეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

გავაჩაღოთ შეჯიბრება საქართველოს საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფისათვის

მძლავრად ჩქეფს შემოქმედებითი შრომა საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში. კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის შთამაგონებელმა სიტყვამ, მისმა გენიალურმა ნაწარმოებმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა, ახალი მძლავრი შემოქმედებითი ძალის მოზღვავება გამოიწვია.

პარტიის დირექტივებში ახალი სტალინური ხუთწლედის შესახებ მოცემულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების გრანდიოზული პროგრამა. საბჭოთა ადამიანებმა ახალი ხუთწლიანი გეგმა მიიღეს როგორც თავიანთი ღვიძლი საქმე და გააჩაღეს ბრძოლა მისი განხორციელებისათვის.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს სახავს საქართველოს მშრომელთა წინაშე, განსაკუთრებით მისი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის დარგში.

დიდმა სტალინმა საქართველოს მშრომელთა წინაშე საბრძოლო ამოცანად დასახა 1957 წლისათვის რესპუბლიკის უზრუნველყოფა საკუთარი წარმოების მარცვლეულით. ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მშრომელები, განსაკუთრებით 1952 წლიდან, მთელი ძალით შეუდგნენ ამ მითითების განხორციელებას. საქართველოს კომპარტიის XV ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მარცვლეულის პრობლემას. საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ თქვა: **„ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემიდან ახლანდელ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია მარცვლეულის პრობლემა. ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, უნდა გვახსოვდეს, რომ მარცვლეული მეურნეობის განვითარების გეგმა შედგენილია ისეთი ვარაუდით, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის ძირითადი სამუშაოები 1953-1957 წლებში შესრულდეს. მაშასადამე, ის, რაც აქამდე კეთდებოდა, მხოლოდ უმნიშვნელო წილია იმისა, რაც უნდა გაკეთდეს, რომ საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველვყოთ“.**

ახალი მიწების ათვისებას, ხორბლის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას, საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების უახლესი მიღწევების, უხვი მოსავლის ოსტატთა შესანიშნავი გამოცდილების გამოყენებასა და შრომის სწორად მოწყობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით შეიარაღებულნი, გამსჭვალული არიან ერთი აზრით, ერთი ფიქრით — მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სოფლის მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, მეტი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს მშრომელები, იბრძვიან რა პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის, ახალ შემოქმედებითს აქტივობას იჩენენ, რათა მთელი სისრულით გამოიყენონ მოსავლიანობის გადიდების ის უდიდესი შესაძლებლობანი, რაც ჩვენს კოლმეურნეობებს, მტს-ებს აქვთ. საბჭოთა სახელმწიფომ საკოლმეურნეო სოფელი პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვა, ამ ტექნიკის სრულად გამოყენება საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის მტკიცე საწინდარია.

მასების შემოქმედებითი აქტივობის, ახალი შრომითი აღმავლობის მკაფიო გამოხატულებაა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირის მიმართვა საქართველოს ყველა კოლმეურნის, მტს-ების მოშაკების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი. წითელწყაროელები წინადადებას იძლევიან მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ჩვენს რესპუბლიკაში მარცვლეულის პრობლემის სანიმუშოდ გადაჭრისათვის. შესანიშნავი პატრიოტული წინადადებაა. წითელწყაროელი მშრომელები შეჩვეული არიან თავიანთი სიტყვის შესრულებას, ისინი ყველაფერზე მაღლა საბჭოთა სახელმწიფოს, საკოლმეურნეო ინტერესებს აყენებენ.

წითელწყაროელებმა დიდი, პასუხსაგები ვალდებულებანი იკისრეს: სახელდობრ, მარცვლეულის მეურნეობის განვითარების დავალება რაიონში შეასრულონ ვადამდე, მეხუთე სტალინური ხუთწლედის ბოლოსათვის, ნაცვლად გათვალისწინებული ვადისა — 1957 წლისა. 1953 წელს ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 21 ცენტნერი ხორბალი, უახლოეს ორ წელიწადში მთლიანად დანერგონ კომპლექსური მექანიზაცია, სრული დატვირთვით გამოიყენონ მძლავრი ტექნიკა, განახორციელონ მომჭირნეობის რეჟიმი, მიაღწიონ კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას და ამით ამრავლონ წარმატებანი დასახული მიზნის — საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის საქმეში.

წითელწყაროელთა თაოსნობა იმითაც არის საგულისხმო, რომ ის ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების ფართოდ გამოყენებას, კონკრეტულ ღონისძიებებს მიწათმოქმედების კულტურის გადაჭრით ამაღლებისათვის.

მარცვლეულის პრობლემის სასახელოდ გადაჭრა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის ღირსებისა და სახელის საქმეა. იგი უნდა გადაჭრათ მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით, გაქანებითა და საქმიანობით. რაიონული და საოლქო მუშაკები მოვალენი არიან ამ საქმის სამსახურში ჩააყენონ მთელი თავიანთი ძალები, ცოდნა, უნარი და გამოცდილება.

უეჭველია, წითელწყაროელთა შესანიშნავ თაოსნობას მხარს დაუჭერენ საქართველოს სოფლის მშრომელები და ფართოდ მოაწყობენ მეხუთე ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებას, რომ ვადაზე ადრე შესრულდეს ამხანაგ სტალინის დავალება საკუთარი პურით საქართველოს უზრუნველყოფის შესახებ. წითელწყაროელთა მაგალითი ყოველმხრივ მისაბაძია. შეჯიბრების თვითეულმა მონაწილემ უნდა აიღოს კონკრეტული ვალდებულებანი და საქმით იბრძოლოს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. საჭიროა პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას და სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმართონ მარცვლეული მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

წითელწყაროელთა მოწოდების ხმა გაისმის იმ სასიხარულო დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა ემზადება ბრწყინვალე დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის.

საქართველოს კოლმეურნეთა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და მეცხოველეობის მუშაკთა გულში მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს და მათ ახალი შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანებს, მორიგ გამარჯვებათა მოსაპოვებლად დარაზმავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო ლოზუნგი:

„სოფლის მეურნეობის მშრომელებო! დაუცხრომლად იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანის შესრულებისათვის — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გამრავლებისა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდისათვის! შევქმნათ მოსახლეობისათვის სურსათისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე!“.

მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა მარცვლეულის პრობლემის სახელოვნად გადაჭრისათვის!

ახალი შესანიშნავი საქმეებით ვუპასუხოთ პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის დაუღალავ მზრუნველობას საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის!

ქართულ ენაზე გამოიცა მ. ზ. საბუროვის მოხსენება პარტიის XIX ყრილობაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ბროშურა: „მ. საბუროვი. მოხსენება პარტიის XIX ყრილობის დირექტივების შესახებ სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის გამო“.

ბროშურის ტირაჟია 30 ათასი ცალი. (საქდესი).

ჩაისათვის ვარგისი ახალი მიწები

გამოკვლევა დაამთავრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მწარმოებელ ძალთა შემსწავლელი საბჭოს გაერთიანებულმა კომპლექსურმა ექსპედიციამ ჩაის კულტურის განვითარების დარგში. ექსპედიცია მუშაობას ეწეოდა 1950-1952 წლებში აზერბაიჯანის, იმიერკარპატის ოლქის, მოლდავეთის, ყირიმის, შუა აზიის რესპუბლიკების, უაზახეთის სსრ ტერიტორიაზე, ზღვისპირეთის მხარეში. გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის, უზბეკეთის, უაზახეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი ფილიალების მეცნიერები.

როგორც ექსპედიციის უფროსმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. დ. კისლიაკოვმა საკდესის კორესპონდენტს აცნობა, გამოკვლევის მიზანი იყო გამოეკვლინებინათ ჩაისათვის ვარგისი ახალი მიწები და გამოერკვიათ პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს ქვეყანაში ამ კულტურის შემდგომ განვითარებას. გამოძებნილია ჩაისათვის ვარგისი რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი ახალი მიწა.

მეტად ძვირფასი შედეგებია მიღებული იმიერკარპატის ოლქში. აქ გამოყოფილია რამდენიმე ათასი ჰექტარი ახალი მიწა, რომელიც ვარგისია ჩაის გასაშენებლად. გამოკვლევამ ცხადყო ამ კულტურის დამაკმაყოფილებელი გამოზამთრების შესაძლებლობა მოლდავეთის პირობებში.

ჩაის საცდელი თესვა განხორციელებულია ყირიმის ოლქის რაიონებში, რომლებიც 600-800 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ ზღვის დონედან. აქაც გამოვლინებულია ჩაის გასაშენებლად ვარგისი მიწები.

დასახულია ჩაის ბუჩქის გაშენების ძირითადი ხერხები ალმა-ატისა და სამხრეთ უაზახეთის ოლქების პირობებში და ყირგიზეთის სსრ კაკლის ტყეების რაიონებში.

მეცნიერული მასალა გადაეცემა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრაქტიკული გამოყენებისათვის. (საკდესი).

ამიერკავკასიის მეცნიერთა თანამშრომლობა

ერევანი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ დამთავრდა ამიერკავკასიის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების პროფესორთა და მასწავლებელთა მესამე სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ერევნისა და აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტებისა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

პლენარულ და სექციათა სხდომებზე მოსმენილ იქნა 60 მოხსენება სამშენებლო მექანიკის, გეოლოგიის, ჰიდროტექნიკის, ქიმიის, თბოტექნიკის და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგების საკითხებზე.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განმტკიცდეს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობა.

სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხანამ შეასრულა ათი თვის პროგრამა

სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის კოლექტივმა, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით და ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვით აღფრთოვანებულმა, დიდი გამარჯვება მოიპოვა.

28 ოქტომბერს ავტოქარხნელებმა ვადამდე შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ათი თვის საწარმოო პროგრამა. (საკდესი).

გეგმების შესრულება

გორის რაიონმა 29 ოქტომბრისათვის 147,8 პროცენტით შეასრულა ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

* * *

გურჯაანის რაიონმა 25 ოქტომბრისათვის შეასრულა დამზადებათა სახელმწიფო გეგმები მარცვლეულის — 100,8 პროცენტით, მატყლის — 140,5, ბრინჯა ყველის — 111,3, თივის — 100, მხხვილი ტყავის — 103,2 და ბოსტნეულისა — 103,5 პროცენტით.

* * *

ამბროლაურის რაიონმა 28 ოქტომბრისათვის შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. 3.000 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 3.180 ცენტნერი ყურძენი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის III კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობა და საქონელბრუნვა 1952 წლის III კვარტალში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

მრეწველობა

I.

1952 წლის III კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 99 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობის კვარტალური გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობისა — 98 პროცენტით.

1952 წლის III კვარტალში 1951 წლის III კვარტალთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება 5 პროცენტით გადიდდა.

1952 წლის III კვარტალში გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოშვებულია მარგანეცის მადანი, ფოლადი, საქსოვი დაზგები, ცემენტი, შიფერი, ხამი აბრეშუმი, რბილი ტყავის საქონელი, ერბოკარაქი, პურ-ფუნთუშისა და მაკარონის ნაწარმი, ღვინო და სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქცია.

II.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1952 წლის III კვარტალის გეგმა შეასრულეს შემდეგი ოდენობით:

	1952 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი
კვების მრეწველობის სამინისტრო	97
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	96
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	98
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	108
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	89
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	106
მათ შორის:	
რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა	104
რაიონული დაქვემდებარების მრეწველობა	107
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	102
საქართველოს სარეწაო საბჭო	105
საქართველოს კოოპინკავშირი	92

მთლიანად მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებისას სატყეო და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა და საქართველოს სარეწაო საბჭომ ვერ შეასრულეს პროდუქციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახეობის ნატურით წარმოების კვარტალური გეგმა.

III.

1952 წლის III კვარტალში უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1952 წლის III კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი
მარგანეცის მადანი (სასაქონლო)	109
ქვანახშირი	102
ნავთობი	100,4
ფოლადი	104
ელექტროენერგია	100,5
სატვირთო ავტომობილები	99
ტუმბოები ატნ-10	79
საკიდი ვაგონეტები	100
ლითონსაჭრელი ჩარხები	99,6
საქსოვი დაზგები	141
ცემენტი	107
შიფერი	111
აგური	86
აგურის შემცვლელები	66
კრამიტი	69
კირი	95
დახერხილი ხე-ტყის მასალა	107
სამასალე მერქნის გამოზიდვა	101
შეშის გამოზიდვა	118
ქაღალდი	75
ბამბა	96
ბამბის ნართი	100,1
ბამბის ქსოვილები	101
შალის ქსოვილები	100,8
აბრეშუმის ქსოვილები	101
ხამი აბრეშუმი	104
წინდები	103
ტრიკოტაჟის საცვლები	94
ზედა ტრიკოტაჟი	79
ფეხსაცმელი	93
მაგარი ტყავის საქონელი	71
რბილი ტყავის საქონელი	109
საწოლები	94
საშენი ლურსმანი	85
პიანინოები და როიალები	112
თევზჭერა	41
ერბო-კარაქი	126
მარგარინის ნაწარმი	108
მცენარეულის ზეთი	97
ყველი	80
ხორცი	81
ძეხვეული	92
საკონდიტრო ნაწარმი	95
მაკარონის ნაწარმი	116
პურ-ფუნთუშის ნაწარმი	113
ჩაი—პირველადი დამუშავება	86
ჩაი—მზა აწონილ-შეფუთული	104
სპირტი	109
კონიაკი	111
ყურძნის ღვინო	116
შამპანური	100,2
მინერალური წყლები	106
პაპიროსი	115
საპონი	102

სოფლის მეურნეობა

1952 წლის 25 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებს აღებული აქვთ მარცვლეული და პარკოსანი კულტურები 8 პროცენტით მეტი, ვიდრე გაასული წლის იმავე თარიღისათვის, აქედან თავთავიანი კულტურები 14 პროცენტით მეტი. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 99,9 პროცენტით. გალეწილია 27 პროცენტით მეტი თავთავიანი, ბურღულისა და პარკოსანი კულტურები, ვიდრე გასული წლის იმავე თარიღისათვის. 25 ოქტომბრისათვის ლეწვის გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით, მზესუმზირას აღების გეგმა — 99 პროცენტით, თამბაქოს შეტეხვის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. მიმდინარეობს კარტოფილისა და შაქრის ჭარხლის მოსავლის მასობრივი აღება. 25 ოქტომბრისათვის კარტოფილის მოსავალი აღებულია 85 პროცენტით მეტ ფართობზე, ვიდრე შარშან იმავე თარიღისათვის, შაქრის ჭარხლისა — 36 პროცენტით მეტ ფართობზე.

კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თიბვის გეგმა და 25 ოქტომბრისათვის დაამზადეს 14 პროცენტით მეტი თივა, ვიდრე შარშან, მაგრამ თივის დამზადების გეგმა კოლმეურნეობებს შესრულებული აქვთ 95 პროცენტით. შესრულებული არ არის სილოსის ჩადების გეგმაც. თივის დამზადება და დასილოსება გრძელდება.

25 ოქტომბრისათვის დათესილია 23 პროცენტით მეტი საშემოდგომო ხორბალი, ვიდრე გასული წლის იმავე თარიღისათვის, მაგრამ კოლმეურნეობები აგვიანებენ თესვის გეგმის შესრულებას. ჩამორჩება მზრალად ხვნაც.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტრაქტორებით შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა 1952 წლის 25 ოქტომბრისათვის გასული წლის იმავე თარიღთან შედარებით 22 პროცენტით გადიდდა.

დაიწყო ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების საშემოდგომო გაშენება. ამავე დროს მზადდება ნიადაგი ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

საქონელბრუნვა

III კვარტალში მთლიანად საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით, აქედან საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა — 101 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებმა შეასრულეს 97 პროცენტით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებმა — 99,3 პროცენტით, ცეკავშირმა — 102 პროცენტით.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

მხარს უჭერენ ტყვარჩელელ მეშახტეთა პატრიოტულ თაოსნობას

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი მეშახტეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ახიბლარის № 4 შახტის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების პატრიოტულ თაოსნობას ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ყველა შახტში ეწყობა მეშახტეთა ხალხმრავალი კრებები, სადაც იხილავენ ტყვარჩელელთა მიმართვას და ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

28 ოქტომბერს მიიღეს თუ არა ლენინის სახელობის შახტში გაზეთ „კომუნისტის“ ის ნომერი, რომელშიც ტყვარჩელელ მეშახტეთა მიმართვა იყო გამოქვეყნებული, მოეწყო მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიტინგი, რომელიც გახსნა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. ბრეგაძემ.

სიტყვა აიღო პირველი უბნის უფროსმა შ. შოთაძემ, რომელმაც განაცხადა: პირველი უბნის კოლექტივმა ვადაზე ადრე, 22 ოქტომბერს შეასრულა ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის დავალება და მას შემდეგ უბნის მეშახტეები მომავალი წლის ანგარიშში ვიღებთ ქვანახშირს. შრომის სწორი ორგანიზაციით და მუშაობის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვით ჩვენ სავსებით შეგვიძლია მივაღწიოთ ჩვენი უბნისათვის დადგენილი ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებას.

შახტის მოწინავე მთხრელმა ა. ვარდოსანიძემ მეშახტეთა წინაშე იკისრა გათხრის ყოველდღიური ნორმის შესრულება აიყვანოს 180-200 პროცენტამდე. ასეთივე გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მნგრეველებმა ვ. სებისკვერაძემ და ფ. ვაჭარაძემ, ცვლის უფროსმა ს. ამბროლაძემ და სხვებმა.

ტყვარჩელელ მეშახტეთა მიმართვის პასუხად მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს შახტის თელი კოლექტივი ჩაებას მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში და მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა შეასრულოს თხუთმეტი დღით ადრე, მაქსიმალურად გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, შეამციროს ტონა ქვანახშირის თვითღირებულება და მეოთხე კვარტალში დაზოგოს 300 ათასი მანეთი.

მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

28 ოქტომბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიმართა მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრებამ განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შედეგები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა პარტიის XIX ყრილობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა როგორც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის, ისე მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. ყრილობის მთელმა მუშაობამ ცხადყო პარტიის რიგების ურღვევი ერთიანობა, ჩვენი პარტიის უდიდესი ნდობა მისი სტალინური ხელმძღვანელობისადმი, მისი დარაზმულობა ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი. ყრილობამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.

ამხ. ხრუშჩოვი ამბობს, რომ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. მალენკოვმა გვიჩვენა პარტიის მიერ გაწეული გიგანტური მუშაობა, ამხ. ხრუშჩოვი ახასიათებს ჩვენი ხალხის მიერ ყრილობებს შორის მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, ლაპარაკობს XIX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვაზე, რომლებიც ხალხთა ნათელი მომავლისათვის შემდგომი ბრძოლის დიადი პროგრამაა. ეს დოკუმენტები აღფრთოვანებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს თავდადებული შრომისათვის, ახალი გამარჯვებებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში, აღაფრთოვანებენ ყველა ქვეყნის მშრომელებს ხალხთა შორის მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მრავალ მისალმებაში ყრილობისადმი გამოხატული იყო უცხო ქვეყნების მშრომელთა სიყვარული და ნდობა ჩვენი პარტიისადმი.

ყრილობამ დაამტკიცა დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, მიიღო გადაწყვეტილებანი პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ და პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ, შექმნა კომისია პარტიის პროგრამის გადასამუშავებლად. ყრილობაზე თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა რევოლუციური მოძრაობის ისტორიისა და კაპიტალის ქვეყნებში თანამედროვე მდგომარეობის ღრმა მარქსისტული ანალიზის საფუძველზე მოძმე კომუნისტურ პარტიებს დაუსახა ბრძოლისა და გამარჯვებათა პერსპექტივები.

მომხსენებელი ლაპარაკობს სსრ კავშირის ეკონომიკის ყველა დარგის ახალ მძლავრ აღმავლობაზე, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებაზე, რაც გათვალისწინებულია ახალ ხუთწლედში. იგი დაწვრილებით ეხება მოსკოვის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს. უნდა მივაღწიოთ, რომ გეგმებს ასრულებდეს ყველა საწარმო ყველა მაჩვენებლის მიხედვით, განუხრელად ადიდებდეს შრომის ნაყოფიერებას. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. უნდა გადიდდეს საშენი მასალების გამოშვება, შემცირდეს მშენებლობის ღირებულება, სანიმუშოდ მოეწყოს საქალაქო მეურნეობა, გაძლიერდეს ზრუნვა დედაქალაქის მშრომელებისათვის.

პარტიის ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს თვითკრიტიკამ და ქვემოდან კრიტიკამ, უმკაცრესი პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დაცვის სულისკვეთებით მშრომელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებამ, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმის გაუმჯობესებამ, შესრულების შემოწმების მოწყობამ. სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში უდიდესი მნიშვნელობა ექნება სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება მიაქცია პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს იდეოლოგიური მუშაობის, კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებაში.

ამხ. ხრუშჩოვი ლაპარაკობს ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელიც იდეურად აიარაღებს ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგ სტალინის მითითებებით, XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული მოსკოვის პარტიული ორგანიზაციები, ამბობს დასასრულ ამხ. ხრუშჩოვი, უფრო გააძლიერებენ თავიანთ ბრძოლისუნარიანობას და ახალ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 14 კაცი. ორატორები ერთსულოვნად იწონებდნენ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ლაპარაკობდნენ იმ უდიდეს ყურადღებაზე, რომლითაც დედაქალაქის კომუნისტები და ყველა მშრომელნი სწავლობენ ყრილობის დოკუმენტებს, აღნიშნავდნენ მუშაობის ნაკლოვანებებს და სახავდნენ მათი აღმოფხვრის გზებს.

პარტიის მოსკოვის რაიონული კომიტეტების მდივნებმა ამხ. ლებედევმა (ძერჟინსკის რაიონი) და ფედიანინმა (ტიმირიაზევის რაიონი) ილაპარაკეს იმ წარმატებებზე, რომლებითაც პარტიის XIX ყრილობას შეხვდნენ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები. მათ აღნიშნეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის შეცვლილ წესდებას, რომლის დაცვა დაეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი მუშაობაში, კიდევ უფრო აამაღლონ მთელი პარტიული მუშაობის დონე.

კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურას“ დირექტორმა ამხ. სევერიანოვამ და მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის მოსკოვის დამხარისხებელი სადგურის დეპოს უფროსმა მემანქანემ ამხ. ბლაუენოვმა აქტივის კრებას გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი ყრილობის შესახებ, რომლის დელეგატებიც ისინი იყვნენ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციისაგან.

მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. პოსპელოვმა, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა ამხ. ილიჩოვმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ალექსანდროვმა, საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილემ ამხ. სურკოვმა და სხვა ორატორებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, ილაპარაკეს იმაზე, რომ საჭიროა დაუცხრომლად ვამხილოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინება, ფართო პოპულარიზაცია გავუწიოთ ამხანაგ სტალინის გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ფურცევამ აღნიშნა, რომ მოსკოვის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას უდიდესი შესაძლებლობანი აქვს იდეოლოგიური მუშაობის წარმატებით წარმოებისათვის. მაგრამ ამ მუშაობის საერთო დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. იგი შეეხო პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს პარტიული პროპაგანდის, ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესებაში.

ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ პარტიული აქტივის კრებაზე ილაპარაკა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ხალდეევმა.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში პარტიული აქტივის კრება იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ ფართოდ გააჩაღონ მშრომელებში პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების, ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვის ახსნა-განმარტება და მოაწყონ ღრმად შესწავლა ამხანაგ სტალინის შრომისა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

შეკრებილებმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

კრება დამთავრდა პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ მღერით. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრთა საყურადღებოდ

პარტიის XIX ყრილობის დამთვლელი კომისიის შეცდომის გამო ყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა სიაში გამოტოვებულია ამხანაგ ლ. ა. გოგოროვის გვარი.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ამხ. ლ. ა. გოგოროვი ნამდვილად არის არჩეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო.

კომუნიზმის აშენების სტალინური პროგრამით შეიარაღებული საბჭოთა ადამიანები ახალ გამარჯვებებს აღწევენ შრომაში საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ

★

დიადი ღღესასწაულის შესახვედრად

თბილისის მინანქრიანი ჭურჭლის დამამზადებელი ქარხნის კოლექტივმა პირნათლად შეასრულა პარტიის XIX ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, მესამე კვარტალის საწარმოო გეგმა 103 პროცენტით გაანაღდა, პროდუქციის თვითღირებულება 29 პროცენტით შეამცირა და სახელმწიფოს 148 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით და დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებული კოლექტივი ახლა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

მექანიკური საამქროს კოლექტივმა, რომელიც წლის განმავლობაში ქარხნის გარდამავალ წითელ დროშას ინარჩუნებს, დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად იკისრა ოქტომბრის გეგმა 152 პროცენტით შეასრულოს და მთლიანად აღმოფხვრას წუნი. მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან ამ საამქროს ხარატები ი. დანგიაშვილი, თ. მარგიშვილი, ა. დანკო, ლ. რიბაცკი. ისინი დიდი ხანია პროდუქციას 1954 წლის ანგარიშში იძლევიან.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდა ამწყობი ზეინკალი შ. აფციაური. საქსოვი დაზგის 30 აღმრიცხველის ნაცვლად, რასაც ოქტომბრის გეგმა ითვალისწინებს, მან იკისრა 50 ასეთი ხელსაწყოს დამზადება.

საოქტომბრო შეჯიბრებაში შრომითი მამაცობის მაგალითებს იძლევიან მინანქრიანი ჭურჭლის საამქროს სტახანოველები მომმინანქრებელი ს. ჯანიაშვილი, კაზმის შემზავებელი ლ. პაიჭაშვილი, მინანქრის მხარშავი ი. ბოჭორიშვილი და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

მინანქრიანი ჭურჭლის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ერთსულოვნად მონაწილეობს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ენერგიის დაუზოგავად შრომობს იმისათვის, რომ სახელოვანი თარიღი — 7 ნოემბერი ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნოს.

წლიური გეგმა განაღდებულია

ხაშური. (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა 101,6 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა, 18 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, 7,8 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და 9 თვეში სახელმწიფოს მისცა 197.700 მანეთი მოგება.

საწარმოო გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ალის კირის ქარხანა, აგრეთვე საავეჯო და სამჭედლო საწარმოები.

სურათზე: ამერკავკასიის რკინიგზის გურჯაანისა და სანაინის საორთქლმავლო დეპოების მეორთქლმავლეთა წარმომადგენლები აფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების აქტს ხელშეკრულებას.

ფოტო გ. ათაბეგოვისა.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

გურჯაანი—სანაინი

დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდების უზრუნველსაყოფად რამდენიმე თვეა ერთმანეთს ეჯიბრებიან გურჯაანელი და სანაინელი (სომხეთის სსრ) მეორთქლმავლეები.

ამ დღეებში სანაინის საორთქლმავლო დეპოს დელეგაცია დეპოს უფროსის მიხეილ მალხასიანის, პარტიული ბიუროს მდივნის მიხეილ აბრამიანის, ადგილკომის თავმჯდომარის მესროფ ჩუგუჩიანის, უფროსი მემანქანის მიხეილ სარქისიანის და დეპოს მორიგის პეტრე ივანოვის შემადგენლობით ესტუმრა გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივს.

გურჯაანელმა და სანაინელმა მეორთქლმავლეებმა შეაჯამეს პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის შესახვედრად იკისრეს ახალი, გაზრდილი ვალდებულებანი და ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შრომითი გამოცდილება.

დეპოს წითელ კუთხეში, რომლის კედლებს ამშვენებდა წითელი ტილოები წარწერით: „ძმური სალამი სანაინელ მეორთქლმავლეებს!“, „წინ, ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით!“, სტუმრების პატივსაცემად გაიმართა საზეიმო კრება, რომელზეც რკინიგზის გურჯაანის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. მაღლაფერიძემ განაცხადა:

— გურჯაანელი და სანაინელი მეორთქმლავლეების მეგობრობა ნათელი დადასტურებაა ხალხთა სტალინური მეგობრობისა. ჩვენი და ჩვენი საძაინელი მეგობრების ურთიერთ შეჯიბრება ხელს უწყობს დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე განაღდებისათვის ბრძოლის წარმატებას, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას, შრომითი მიღწევების გამრავლებას.

— ჩაბმული ვართ რა გურჯაანელ მეორთქმლავლეებთან შეჯიბრებაში, — თქვა სანაინის საორთქმლავლო დეპოს უფროსმა მ. მალხასიანმა, — ჩვენ ყრილობის დღეებში ორთქმლავლების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმა 9 კილომეტრით გავადიდეთ, 20 ტონაზე მეტი საწვავი დავზოგეთ, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა. ჩვენ გადავწყვიტეთ გურჯაანელებთან თანამეგობრული შრომით ვიბრძოლოთ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ გურჯაანისა და სანაინის საორთქმლავლო დეპოს მოწინავე ადამიანები ი. მარკოზაშვილი, ზ. ყინდინაშვილი, ვ. ნიკოლეიშვილი, პ. ივანოვი, მ. სარქისიანი, მ. აბრამიანი და სხვ. ისინი ლაპარაკობდნენ იმ დიდ სიხარულზე, რომელიც გამოიწვია დიდი სტალინის ისტორიულმა სიტყვამ პარტიის XIX ყრილობაზე, ლაპარაკობდნენ თავიანთ შრომითს მიღწევებზე, მსჯელობდნენ ლენინ—სტალინის პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების ღონისძიებებზე.

ა. კუჭუხიძე.

★

მეელმავლეთა წარმატებანი

თბილისის საელმავლო დეპოში დღითი-დღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს, რათა ახალი საწარმოო საჩუქრები მიუძღვნან დიდი ოქტომბრის XXXV წლისთავს.

დეპოს ახალგაზრდა მეელმავლეებმა იკისრეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში გადაიყვანონ მძიმე წონის 15 მატარებელი, გეგმის გადამეტებით გადაზიდონ 15 ათასი ტონა ტვირთი და დაზოგონ ელექტროენერგია 25 პროცენტით.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად მეელმავლეები სტახანოვურ ვახტზე დგანან და ახალ წარმატებებს აღწევენ. მეელმავლეთა კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელსაც უფროსი მემანქანე გ. ბოგვერაძე ხელმძღვანელობს, ოქტომბრის ორ დეკადაში მძიმე წონის რამდენიმე მატარებელი გადაიყვანა, გეგმის გადამეტებით 10.822 ტონა ტვირთი გადაზიდა.

კომკავშირელმა ლუნინელმა მემანქანემ გ. ბერუაშვილმა ოქტომბრის 20 დღეში წაიყვანა მძიმე წონის 7 მატარებელი და გადაზიდა 3.232 ტონა ზეგეგმითი ტვირთი.

ნაყოფიერად მუშაობს კომკავშირელი ზეინკალი რ. გიორგაძე, რომელიც დღიურ ნორმებს 250 პროცენტით ასრულებს.

დიდი ხანი არ არის, რაც გივი ფეიქრიშვილმა საზეინკლო საქმე შეისწავლა დეპოს ცნობილ ზეინკალ ლ. მოსემღვდლიშვილის დახმარებით. ახლა იგი დამოუკიდებლად მუშაობს და დღიურ დავალებას ორმაგად ანაღდებს.

კოლმეურნეთა წვლილი

ცხაკაია. (საკ. კორ.). კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან პარტიის XIX ყრილობის მასალებს და თავდადებით შრომობენ ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად. ყრილობის გადაწყვეტილებათა გასაცნობად რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ში, დაწესებულებებში 1.000-მდე აგიტატორი ეწევა საგიტაციო მუშაობას.

მტს-ის კოლექტივის თვითეული წევრი განსაკუთრებული ყურადღებით ეცნობა ყრილობის გადაწყვეტილებებს. ისინი დიდად აღაფრთოვანა იმან, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მტს-ების სატრაქტორო პარკის სიმძლავრის ერთნახევარჯერ გადიდება.

რაიონის კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, რკინიგზის კვანძის მუშაკებს, ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ პარტიის ისტორიული გადაწყვეტილებანი და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ახალი შრომითი პათოსით

თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის აგიტატორები გულდასმით განუმარტავენ მუშებს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას. ყრილობის მასალების შესწავლას ისინი უკავშირებენ თავიანთი საწარმოს ცხოვრებას, აცნობენ მუშებს, თუ როგორ გაანაღდა ქარხანამ ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები და როგორია საწარმოს მუშაობის შემდგომი ამოცანები.

სამსხმელო საამქროს აგიტატორმა მ. ჭყონიამ საუბარში განაცხადა:

— მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული დიდი სტალინური პროგრამა, რომელიც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის წინსვლის, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ აღმავლობას, თვითეულ საბჭოთა ადამიანს ავალებს არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, დაეუფლოს მუშაობის მოწინავე მეთოდებს, ყოველდღიური დავალება შეასრულოს ორმაგად და სამმაგად, გამოუშვას მხოლოდ პირველხარისხოვანი პროდუქცია. ჩვენი საწარმოს კოლექტივი ამ მხრივ ცუდად არ მუშაობს. ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება მან პირნათლად გაანაღდა. 9 თვის გეგმა 10 სექტემბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია. აღებული ვალდებულებით მას კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის უნდა გაეგზავნა 10 სახარატო ჩარხი, ფაქტიურად გაგზავნილ იქნა 18. მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა სრული დატვირთვით გამოვიყენოთ საწარმოს ყველა მოწყობილობა, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება და წარმატებით შევასრულოთ ყველა საწარმოო დავალება, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული სახარატო ჩარხის ყველა დეტალი ჩვენივე დავამზადოთ. როგორც იცით, ამჟამად საწარმო წარმატებით მუშაობს სახარატო ჩარხის ერთ-ერთი მთავარი კვანძის — თვითდამცენტრებლის მასრის ათვისებაზე და მის მასობრივ გამოშვებას დაიწყებს მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან.

— ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა და პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს, — განაცხადა მეყალიბე გ. ლონდარიძემ, — ყრილობის გახსნამდე მე უკვე შესრულებული მქონდა 1 წლის და 5 თვის გეგმა. პირობას ვიძლევი ყოველდღიური დავალება შევასრულო 250 პროცენტით.

— ამხ. ლონდარიძეს არც მე ჩამოვრჩები, — განაცხადა სტახანოველმა მეყალიბე გ. ბაკაშვილმა. — უკვე შევასრულე ერთი წლისა და 2 თვის გეგმა, პირობას ვიძლევი ყოველდღიური დავალება სამმაგად შევასრულო.

— მეყალიბეების თავდადება უშედეგო იქნება, თუ ისინი არ მოვამარაგეთ სათანადო გამდნარი ლითონით,— თქვა მდნობელმა ხ. ტენიშევმა. — დღეისათვის უკვე შესრულებული მაქვს წლინახევრის გეგმა. პირობას ვიძლევი ყოველდღიურად შევასრულო სამი ნორმა.

აგიტატორის საუბრის შემდეგ სამჭედლო საამქროს ცნობილმა სტახანოველმა ს. თიბილაშვილმა თქვა:—მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობა. ეს დიდი ამოცანები გვავალებს ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, დავეუფლოთ მუშაობის მოწინავე მეთოდებს, ყოველდღიური დავალება შევასრულოთ დიდი გადაჭარბებით. მეოთხე ხუთწლედის დამთავრებიდან მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლომდე შევასრულე 6 წლის დავალება და ახლა პროდუქციას ვიძლევი 1956 წლის ანგარიშში. ვებმები საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობ ყოველდღიური დავალება გავანაღდო 300 პროცენტით.

— შენ რას იტყვი, ამხ. ყველაშვილო, — გადაულაპარაკა სამჭედლო საამქროს უფროსმა ს. პილოსიანმა სტახანოველ მჭედელს. დინჯად ადგა მ. ყველაშვილი და ამაყად განაცხადა: — სამი წლის დავალება უკვე შევასრულე, ამჟამად პროდუქციას ვიძლევი მეოთხე წლის ანგარიშში. ვებმები საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირობას ვიძლევი არ ჩამოვრჩე თიბილაშვილს და ყოველდღიური დავალება შევასრულო 300 პროცენტით.

საინტერესოდ ჩაატარა საუბარი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესახებ მექანიკური საამქროს აგიტატორმა რ. გრიგორიანმა. მან დაწვრილებით გააცნო მუშებს ჩვენი მრეწველობის წამყვანი დარგების გაფართოების პერსპექტივები.

აგიტატორმა თავისი საუბარი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: — იყო კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე ნიშნავს იმას, რომ შრომობდე ენერგიის დაუზოგავად, ყოველდღიურად ეუფლებოდე შრომის მოწინავე მეთოდებს, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიაღწიო დიდ წარმატებებს და სამშობლოს მისცე ათასობით მანეთი ეკონომია.

სიტყვა ითხოვა მრანდავმა ვ. ვოლკოვმა.

— პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ, — აღნიშნავს იგი, — ჩვენი მუშობა უფრო საინტერესო და სახალისო გახადა. 3 წლისა და 5 თვის გეგმა უკვე შევასრულე. გადაწყვეტილი მაქვს წლის ბოლომდე კიდევ შევასრულო შვიდი თვის დავალება.

— ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში ჩემი წვლილი ის იქნება, — თქვა ზეინკალმა ი. გორბაჩოვმა, — რომ ყოველდღიური დავალება შევასრულო 300 პროცენტით.

ამწყობ საამქროში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო დავალების წარმატებით შესრულებისათვის. ზეინკლები ო. გოგიჩაიშვილი, მ. სირცოვი, გ. გოდერძიშვილი, რომლებსაც უკვე შესრულებული აქვთ წლინახევრის გეგმები, ერთმანეთს ეჯიბრებიან და გადაწყვეტილი აქვთ ყოველდღიური ნორმა შეასრულონ 300 პროცენტით.

თბილისის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანას მრავალი ცნობილი სტახანოველი და მოწინავე მუშა ჰყავს. ქარხანაში 35 მუშას უკვე შესრულებული აქვს 2 და 3 წლის გეგმა და ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხონ.

ზ. ჯამასპიშვილი.

სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ საქართველოში მარცვლეულის პრობლემის სანიმუშოდ გადაჭრისათვის

ერთსულოვნად დავუჭიროთ მხარი წითელწყაროელთა პატრიოტულ თაოსნობას

ყველა საშუალება გამოვიყენოთ თესვის გეგმის შესასრულებლად

იწურება საშემოდგომო თესვის ვადები, ზნაურის რაიონში კი ეს სამუშაო ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაიონში გეგმით გათვალისწინებულის მეხუთედი ფართობიც არ არის ჯერ დათესილი.

სოფელ ველების სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმით 490 ჰექტარზე უნდა დათესონ შემოდგომის პურეული. ეს მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის დავალებას. გადიდებული ამოცანებიდან აქ სათანადო დასკვნები არ გააკეთეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ჯიოევმა და პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა პ. ჯიოევმა დროზე არ მიიღეს გადამჭრელი ზომები, რომ თესვას მომზადებული შეხვედროდნენ. ცნობილია, რომ მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ ძირითად პირობას მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა წარმოადგენს. კოლმეურნეობის გამგეობამ არ იზრუნა თესლის გულდასმით გაწმენდისათვის. თესლის ხარისხის შემმოწმებელმა რაიონულმა ლაბორატორიამ ჯერ კიდევ 5 აგვისტოს დაიწუნა წარდგენილი დასარეველიანებული ნიმუში. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ, იმის ნაცვლად, რომ საჭირო ზომები მიეღო მაღალხარისხოვანი თესლის მომარაგებისათვის, ხელი ჩაიქნია და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 24 ოქტომბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 1.102 ცენტნერიდან სათეს კონდიციამდე აყვანილი ჰქონდათ მხოლოდ 270 ცენტნერი თესლი.

კოლმეურნეობის 400 ჰექტარზე თესვა ზნაურის მტს-მა უნდა განახორციელოს. ამ მნიშვნელოვან საქმეშიც თავი იჩინა უდარდელობამ. დათესილია მხოლოდ სამოციოდე ჰექტარი. ზნაურის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ს. ჭანტურიძე), რომელიც ამ კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას, უხეიროდ მუშაობს. ორი კვირის წინათ კოლმეურნეობაში მოვიდა ამ ბრიგადის „სტზ“ მარკის ტრაქტორი. მას ხვნაზე უნდა იმუშავა. მაგრამ მანქანა ცუდად იყო შეკეთებული და მინდვრად პირველი წრის გაკეთებისთანავე გაფუჭდა. მას შემდეგ იგი კოლმეურნეობის კანტორის ეზოში დგას უმოქმედოდ.

ს. ჭანტურიძის ბრიგადის დანარჩენი ორი ტრაქტორი ველების კოლმეურნეობაში მუშაობს, მაგრამ დაბალხარისხოვნად. მექანიზატორი შ. ბეგიაშვილი ტრაქტორს უწინამძღვნელ გუთნებით ამუშავებს, 22-24 სანტიმეტრის ნაცვლად ნიადაგს 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე ხნავს, ამასთან უშვებს ხარვეზებსაც. ამავე მარკის მეორე ტრაქტორი, რომელსაც მ. კულუმბეგოვი მართავს, ტექნიკური დეფექტების გამო ხშირად უქმად დგას. ტრაქტორს ნაწილის დაზიანების გამო 19, 20, 21 ოქტომბერს არაფერი გაუკეთებია. ეს ტრაქტორიც დაწესებულზე ნაკლებ სიღრმეზე ხნავს. ტრაქტორისტებთან ჩაშლილია პოლიტიკური მუშაობა. ამას წინათ მეორე სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორებთან იყო მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. თ. ბაგაევი. მაგრამ მის მოსვლას მუშაობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია.

სოფელ ველების კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, საწარმოო ბრიგადები არ ზრუნავენ იმისათვის, რომ თესვის დროს მექანიზატორებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ. ზოგიერთი ნაკვეთი, სადაც ხვნა მიმდინარეობს, ჯერ კიდევ არ არის გათავისუფლებული ნამჯისაგან. ესეც აფერხებს ტრაქტორების მაღალნაყოფიერად გამოყენებას.

საშემოდგომო ხვნა-თესვის დღეებში კოლმეურნეობა არადამაკმაყოფილებლად იყენებს საკუთარ ძალებს. მემინდვრეობის ხუთ ბრიგადას შესაძლებლობა აქვს ყოველდღიურად ხვნაზე ამუშაოს 10-12 გუთანი, მაგრამ ამ ძალების მესამედიც არ არის დღემდე გამოყენებული. ეს იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. შრომისუნარიანი წევრები ა. მედოევი, დ. ხუბეჟოვა, პ. გაბარაევი, ვ. ბიბილოვა და მრავალი სხვა საშემოდგომო თესვის ამ გადამწყვეტ დღეებში არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში.

ასეთსავე ნაკლოვანებებს ვხვდებით სოფელ ძვილეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. არსოევი). ძვილეთში ცუდად იყენებენ ტრაქტორებს.

მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ფართობში 23 ოქტომბერს 12 საათის შემდეგ ზეთის უქონლობის გამო აღარ უმუშავია ტრაქტორს, რომელსაც ს. სადკოევი მართავს.

როცა ამ უმსგავსო ფაქტის შესახებ ვესაუბრეთ ბრიგადის ხელმძღვანელს, საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. შ. გოგინაშვილს, მან გულგრილად შენიშნა:

— მექანიზატორებმა თავიანთ საქმეს თვითონ უნდა მიხედონო.

ამავე ბრიგადის ფართობში უქმად იდგა მეორე ტრაქტორი, რომელსაც ზ. გაგლოევი მართავს. გაგლოევმა ორი ჰექტარი ფართობი ისე ზერელედ მოხნა, რომ ნიადაგი ხელმეორედ დასამუშავებელი გახდა. 17 ოქტომბერს ტრაქტორს გაუტყდა ერთი ნაწილი, რომლის შეკეთებას დღემდე არაფერი ეშველა. ძვილეთის კოლმეურნეობაში გამოგზავნილი მესამე ტრაქტორი მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში უქმად იყო მინდორში და იგი მხოლოდ 23 ოქტომბერს აამუშავეს.

ძვილეთის კოლმეურნეობას ესაჭიროება 630 ცენტნერი სათესლე მასალა. აქედან 24 ოქტომბრისათვის სათეს კონდიციამდე აყვანილი ჰქონდათ მხოლოდ 250 ცენტნერი. კოლმეურნეობას ერთი მარცვალსაწმენდი აქვს და ისიც მოშლილია, მარცვლეულის ხელით გარჩევა კი დიდ დროსა და მუშახელს მოითხოვს.

თესლის კონდიციამდე აყვანა გააჭიანურეს სოფელ დიდმუხა-მუგუთის კოლმეურნეობაში. ეს სერიოზული საქმე აქ ჯერ სანახევროდაც არ არის შესრულებული. კოლმეურნეობამ შარშანდელთან შედარებით 138 ცენტნერით მეტი პურეული უნდა დათესოს. საჭირო იყო ამ ფაქტს ღრმად ჩაჰკვირვებოდა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე ს. გაბარაევი) და მიეღო ზომები თესვის მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. მაგრამ ასე არ მოხდა, თესვა ნელა წარმოეს. კოლმეურნეობა საკუთარ ძალებს ცუდად იყენებს. შესაძლებლობა აქვთ ყოველდღიურად 6 გუთნეული ამუშაონ საშემოდგომო ხვნაზე, ამუშავებდნენ 4 გუთნეულს, ბოლო ხანებში კი გუთნეულებმა საავსები შიწყვიტეს მუშაობა. კოლმეურნეობის მინდორში მთელ თვეს არაფერი გაუკეთებია ზნაურის მტს-ის ტრაქტორს (მ. ჭოველიძის სატრაქტორო ბრიგადა).

საშემოდგომო ხვნა-თესვაში ჩამორჩენა ამ კოლმეურნეობაშიც გამოიწვია დაბალმა შრომის დისციპლინამ. პირველადი პარტორგანიზაცია, მისი მდივანი გ. კაბულოვი ცუდად იბრძვის შრომის დეზერტირების წინააღმდეგ. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ზოგიერთი კომუნისტი (კ. ბესთაევი, ა. თადტაევი და სხვ.) ნაცვლად იმისა, რომ აქტიურად დაეხმაროს კოლმეურნეობის გამგეობას შრომის საუკეთესოდ მოწყობაში, თვითონ არღვევს დისციპლინას.

თესვას შეუწყნარებლად აგვიანებენ სოფელ ნულის, ავნევის, თერეგვანის და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. ამ მდგომარეობასთან შერიგება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულებას, მომავალი წლის მოსავალს.

პარტიის ზნაურის რაიკომმა (მდივანი ამხ. ვ. ქოზაევი) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე მ. გათიკოევი) გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ თესვაში სამარცხვინო ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, წითელწყაროელ მშრომელთა ინიციატივის პასუხად უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა მარცვლეულის წარმოების რეზერვის მთლიანად გამოყენებისათვის.

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საყოველთაო საქმე

ბოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). დიდი შრომითი აღმავლობაა დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებითა და დიდი სტალინის შთამაგონებელი სიტყვით აღფრთოვანებული კოლმეურნეები დაუღალავად შრომობენ მეხუთე ხუთწლედში მათ წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად.

გუშინ გაზეთების მიღებისთანავე კოლმეურნეები გულდასმით გაეცნენ წითელწყაროელ მშრომელთა პატრიოტულ მიმართვას საქართველოში მარცვლეულის პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

მიმართვის გაცნობისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. გოლეთიანმა განაცხადა:

— საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე, რომლის დელეგატიც მე ვიყავი, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. მგელაძემ თავის მოხსენებაში ჩვენ საბრძოლო ამოცანად დაგვისახა მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა. წითელწყაროელი მშრომელებიც ამ ამოცანის გადაჭრისაკენ მოგვიწოდებენ. ჩვენთვის, კოლმეურნეებისათვის, არ არსებობს უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ლენინ—სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის დავალებათა შესრულება. მან კოლმეურნეთა სახელით პირობა დადო დროულად და მაღალხარისხოვნად დაამთავრონ საშემოდგომო თესვა. წელს შემოდგომის ხორბალი დათესონ 2.620 ჰექტარზე, რაც გასული წლის ნათეს ფართობზე 520 ჰექტარით მეტია. ზუსტად განახორციელონ აგროღონისძიებათა მთელი კომპლექსი და თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 20-22 ცენტნერი პური.

წითელწყაროელთა პატრიოტულ მიმართვას მოწონებით შეხვდნენ და საქმიანად გამოეხმაურნენ კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირები ი. უგრეხელიძე, ე. სხირტლაძე და ა. ბაქრაძე.

ბელადის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის საქმეში.

მიიღებენ პურის უხვ მოსავალს

თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულონ ჩვენი პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის ყველა დავალება.

კოლმეურნეები ერთსულოვნად უჭერენ მხარს წითელწყაროელთა წინადადებას მარცვლეულის პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

— ჩვენთვის, კოლმეურნეებისათვის, — განაცხადა კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა ვასილ ქარუმიძემ, — არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე დიდი სტალინის ყველა დავალების წარმატებით შესრულება. საქართველოს საკუთარი წარმოების პურით უზრუნველყოფა, ხორბლის მოსავლიანობის გადიდება ჩვენი საერთო-საკოლმეურნეო და სახალხო ღვიძლი საქმეა. პირადად ჩემი ბრიგადა წელს შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთიოროად მეტ ხორბალს თესავს. პირობას ვიძლევით 1955 წლისათვის საშუალო მოსავალი ჰექტარზე ავიყვანოთ 25 ცენტნერამდე. მთელ ფართობს დავთესავთ ჯვარედინად, ეფექტიანად გამოვიყენებთ მინერალურ და ორგანულ სასუქებს, საუკეთესოდ მოვუვლით ნათესებს.

მთლიანად კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე, აგრონომი ე. დანელია) იკისრა გასული წლის 1.300 ჰექტარის ნაცვლად ახალი მიწების ათვისების საფუძველზე წელს 1.800 ჰექტარი ხორბალი დათესოს, ხოლო 1955 წელს 3.000 ჰექტარი. ამასთან დიდ ნაწილს მორწყავენ და იქ მოსავლიანობას ჰექტარზე 32-35 ცენტნერამდე აიყვანენ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„სასკოლო-სააღმზრდელო მუშაობის ცუდად დაყენებისათვის“

ამ სათაურით რედაქციაში შემოვიდა მასწავლებელ ტ. კაპანაძის კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთის რვაწლიანი სკოლის დირექტორის გ. ნოზაძისა და საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ვ. ჭიხორიას დანაშაულობანი.

კორესპონდენცია შესამოწმებლად გადაეგზავნა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს. რომელმაც რაიკომის წარმომადგენელთან ერთად შეამოწმა კორესპონდენციაში აღნიშნული საკითხები.

საქართველოს კ. პ. საჩხერის რაიკომის ბიურომ ამას წინათ განიხილა ჯალაურთის რვაწლიანი სკოლის საკითხი. კორესპონდენციაში წამოყენებული ბრალდებები დადასტურდა. რაიკომის ბიუროს დადგენილებით ჯალაურთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი გ. ნოზაძე სასკოლო-სააღმზრდელო მუშაობის ცუდად დაყენებისათვის, სავალდებულო სწავლების სუსტი ხელმძღვანელობისათვის და საბჭოთა მასწავლებლის შეუფერებელი მოქმედებისათვის მოიხსნა სკოლის დირექტორობიდან.

ჯალაურთის რვაწლიან სკოლაში შექმნილი მდგომარეობისადმი ლიბერალური დამოკიდებულებისა და იქ დროულად ღონისძიებების გაუტარებლობისათვის საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ვ ჭიხორიას რაიკომის ბიურომ საყვედური გამოუცხადა.

დასახულია ღონისძიებები სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა

პოლიტიკური კომიტეტის 29 ოქტომბრის სხდომა

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დღისით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა განაახლა კორეის საკითხის განხილვა. კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ამხ. ვიშინსკი.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 29 ოქტომბრის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ

კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის მოხსენების საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგას, მთლიანად კორეის, კორეელი ხალხისათვის თავსმოხვეული ომისა და მისი შეწყვეტის პერსპექტივების, კორეაში დაზავებისა და მშვიდობის საკითხია.

კორეაში ომის დამთავრებით და დაზავებით დაინტერესებულია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, მთელი მოწიხავე კაცობრიობა. ბევრი ქვეყნის ძძლავრი სახალხო მოძრაობა მშვიდობისათვის უშუალოდ დაკავშირებულია კორეაში ომის შეწყვეტისათვის, კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ბრძოლასთან.

იმ მრავალი მილიონი ადამიანის მტკიცე მოთხოვნების შესაბამისად, რომლებმაც ხმა აიმაღლეს ომის წინააღმდეგ და მშვიდობის დასაცავად, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ გენერალური ასამბლეის ამ სესიის დასაწყისშივე შემოიტანა თავისი წინადადებანი, რომელთა შორის პირველი ადგილი უკავია კორეის საკითხს. პოლონეთის დელეგაცია, რომელსაც მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის დელეგაციამ და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა, მტკიცედ მოითხოვდა, რომ ეს წინადადებანი და მათ შორის წინადადება, რომელიც კორეას შეეხება, დასმული ყოფილიყო პირველ ადგილზე და პირველ კომიტეტს პირველ რიგში განეხილა.

ამ წინადადებას სრულიად დაუსაბუთებლად წინააღუდგა ზოგიერთი დელეგაცია, უმთავრესად ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილე ქვეყნების დელეგაციები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, და იგი არ იქნა მიღებული. პირველ ადგილზე დაისვა კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის უკვე ხსენებული მოხსენების საკითხი, თუმცა თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამ საკითხის განხილვა არ შეიძლება კორეის მთელი საკითხისაგან, ესე იგი კორეაში ომისა და ზავის საკითხისაგან განცალკევებით.

24 ოქტომბერს პირველმა კომიტეტმა მოისმინა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სიტყვა, რასაც თითქმის სამი საათი დასჭირდა. ამ სიტყვაში არაფერი არ იყო ნათქვამი კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის მოხსენებაზე, როგორც ამას მოველოდით დღის წესრიგის მიხედვით. აღნიშნულ სიტყვაში მთელი ყურადღება მიექცა კორეის საკითხის ისტორიას მისი წარმოშობიდან დღევანდლამდე.

გამოვიდა რა პირველი კომიტეტის წინაშე, ბ-ნმა აჩესონმა ამოცანად დაისახა ფართოდ განეხილა კორეის მთელი საკითხი, ამ საკითხის განვითარება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი, რომელიც მას ეკუთვნოდა კორეის ამბებში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე. ბ-ნმა აჩესონმა დაისახა დიდი და პასუხსაგები ამოცანა, რის გადაჭრაც შეიძლება მხოლოდ იმ პირობების აუცილებელი დაცვით, რომელთა უგულებელყოფაც მან ამჯობინა. ეს პირობებია—საჭირო ობიექტიურობა ფაქტების დახატვაში, იმაში, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული სიმართლე, რომელიც შეუთავსებელია ფაქტებისადმი თავისუფალ მოპყრობასთან და მით უმეტეს ფაქტების გაყალბებასთან.

ბ-ნი აჩესონი სხვა გზას გაჰყვა, უკუღმართად დაგვიხატა ფაქტები, დაუშვა უხეში შეცდომები, არ მოერიდა პირდაპირ დამახინჯებას. მივმართოთ ფაქტებს.

თავისი სიტყვა ბ-ნმა აჩესონმა დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ჩინეთის წარმომადგენელთა 1943 წლის დეკემბრის კაიროს კონფერენციით, რომელმაც მიიღო დეკლარაცია კორეის შესახებ, რასაც შემდეგში საბჭოთა კავშირი მიემხრო. მან მოგვაგონა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირი, რომელიც მიმდინარეობდა 1945 წლის 16-დან 26 დეკემბრამდე და რომელზეც მიღწეულ იქნა შეთანხმება კორეის შესახებ. ამ თათბირზე მიღებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის შექმნისათვის ხელის შეწყობის შესახებ, რისთვისაც შეიქმნა ერთობლივი კომისია სამხრეთ კორეაში ამერიკის ჯარებისა და ჩრდილოეთ კორეაში საბჭოთა ჯარების სარდლობის წარმომადგენელთაგან. კომისიის მთავარი ამოცანა იყო შეემუშავებინა კორეელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის, კორეის დემოკრატიული თვითმმართველობის განვითარებისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის დამყარებისათვის ხელშეწყობის (მეურვეობა) წინადადებანი. ერთობლივ კომისიას ეს უნდა შეესრულებინა კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის მონაწილეობით, აგრეთვე კორეის დემოკრატიული ორგანიზაციების მონაწილეობით და მათთან კონსულტაციით. უნდა ვაღიაროთ, რომ ბ-ნმა აჩესონმა ცოტა როდი იშრომა აქ, პირველ კომიტეტში, რათა დაემახინჯებინა ფაქტები, რომლებიც ამ კომისიის საქმიანობასა და მოსკოვის თათბირის მუშაობას შეეხება.

მაგალითად, ბ-ნ აჩესონს არაფერი უთქვამს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის კორეელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და კორეაში დემოკრატიული თვითმმართველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა. სამაგიეროდ იგი არ მოერიდა საქმე ისე დაეხატა, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო კორეაში ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში მოქმედების კოორდინაციის განვითარება, საბჭოთა კავშირმა უარყო თითქოს იმ საფუძველზე, რომ „დაირღვეოდა საბჭოთა კავშირის კომპეტენციის აბსოლუტური სფერო ჩრდილოეთ ზონაში“.

საჭირო არ არის ამ მონაგონის გაბათილება, რადგან არავითარი ამისი მსგავსი რამ საბჭოთა კავშირს არ განუცხადებია.

ნამდვილად კი საქმე სულაც არ იყო ისე, როგორც ბ-ნმა აჩესონმა დაგვიხატა. ნამდვილად საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ საჭიროა მოეწყოს საქონელგაცვლა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ეკვივალენტური თანხის ურთიერთ მიწოდებათა სახით. საბჭოთა სარდლობა, ითვალისწინებდა რა სამხრეთ კორეის საჭიროებას, დათანხმდა მიეწოდებინა მისთვის 89.539.289 იენის საერთო თანხის საჭირო რაოდენობის ელექტროენერგია, ქვანახშირი, ქიმიური სასუქები, ფოლადი, სპილენძი, თუთია, ტყვია, სხვადასხვა მჟავა, ხე-ტყის მასალა და სხვა საქონელი.

თავის მხრივ საბჭოთა სარდლობას იმედი ჰქონდა, რომ ჩრდილოეთ კორეისათვის მიიღებდა სურსათს (ბრინჯს), რომელსაც უნდა შეედგინა სამხრეთ კორეიდან მოწოდებათა საერთო თანხის 2/3, სათადარიგო ნაწილებს და მასალებს ჩრდილოეთ კორეის რკინიგზის ტრანსპორტისათვის, ქვანახშირისა და ელექტრომრეწველობისათვის და სხვ. საბჭოთა დელეგაციის განაცხადის საპასუხოდ ამერიკელებმა წარმოადგინეს 6 მილიონი იენის საერთო თანხის ფართო მოხმარების საქონლის, სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების სია.

უფრო გვიან ეს სია გაფართოეს და 10 მილიონ იენამდე აიყვანეს.

ამრიგად, ამერიკის წინადადება ეწინააღმდეგებოდა მიღწეულ შეთანხმებას ეკვივალენტური გაცვლის შესახებ და ითვალისწინებდა სამხრეთ კორეისათვის სასაქონლო კრედიტის მიცემას 79 მილიონი იენის რაოდენობით ჩრდილოეთ კორეის ხარჯზე. ამერიკის წინადადების მიხედვით მიწოდებებიდან სრულიად გამორიცხული იყო სურსათი (ბრინჯი), თუმცა საბჭოთა დელეგაციამ გარკვევით განაცხადა, რომ „საქონელგაცვლის საკითხს საბჭოთა სარდლობა გადაწყვეტს იმის მიხედვით, მიაწოდებს თუ არა ამერიკის სარდლობა სურსათს „ჩრდილოეთ კორეის მუშა მოსახლეობის მოსამარაგებლად, რომელიც საქონლის მწარმოებელია და რომელსაც საზრდო უნდა მიეცეს“.

ჩრდილოეთ კორეაში შიმშილის გამოწვევისა და საბჭოთა სარდლობის პოლიტიკისათვის ხახელის გატეხის იმედით ამერიკელებმა ცივი უარი თქვეს ჩრდილოეთ კორეისათვის ბრინჯის მიწოდებაზე. ამის გამო საბჭოთა დელეგაცია იძულებული გახდა საქონელგაცვლის საკითხის განხილვა გადაედო მანამდე, „როცა ამერიკის სარდლობა შეძლებს უზრუნველყოს სამხრეთ კორეიდან ჩრდილოეთ კორეაში მიაწოდოს საჭირო დეტალები მრეწველობისათვის და საკვები პროდუქტები იმ მუშებისათვის, რომლებიც მრეწველობაში მუშაობენ, და რომ ამასთან ორივე მხარის მიწოდებათა თანხა დაახლოებით ეკვივალენტური იქნება“.

საბჭოთა დელეგაცია კომისიის 6 მაისის სხდომაზე მტკიცედ მოითხოვდა, რომ პირველი რიგის ღონისძიებაა არა სამხრეთ კორეის სამოქალაქო ადმინისტრაციის აპარატის შექმნა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომელსაც ექნებოდა კორეის ეკონომიკის მართვის ფუნქციები, არამედ კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობის ორგანიზაცია, რაზეც ამერიკის შეერთებული შტატები ჯიუტად ამბობდნენ უარს.

შეეხო რა მეურვეობას, ბ-ნ აჩესონს არ უთქვამს, რომ ბირნსის თავდაპირველი ამერიკული პროექტი სრულიადაც არ ითვალისწინებდა კორეის ეროვნული მთავრობის შექმნას, არამედ ითვალისწინებდა კორეაში შექმნილიყო ადმინისტრაცია ორი სამხედრო სარდლის მეთაურობით, რომელსაც უნდა განეხორციელებინათ კორეის მართვა მეურვეობის დაწესებამდე.

მოსკოვის თათბირმა საჭიროდ ცნო შექმნილიყო კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადების მიხედვით, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს შეესაბამებოდა კორეელი ხალხის მომწიფებულ ეროვნულ მოთხოვნებს და ხელს შეუწყობდა კორეაში იაპონიის ხანგრძლივი ბატონობის დამღუპველი შედეგების უსწრაფეს ლიკვიდაციას.

ამერიკის პროექტი ითვალისწინებდა შექმნილიყო აღმასრულებელი საბჭო ოთხი სახელმწიფოს (სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ჩინეთის) წარმომადგენელთაგან, რომელსაც უნდა მინიჭებოდა აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლება. ამერიკის ამ პროექტში კვლავ არ იყო გათვალისწინებული კორეის მთავრობის შექმნა.

ამავე დროს მოსკოვის თათბირმა საჭიროდ აღიარა შექმნილიყო კორეის დროებითი მთავრობა და ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის ხელმისაწვდომად დააარსა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისია. საბჭოთა მთავრობა თავიდანვე თანმიმდევრულად იცავდა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ნამდვილად დამოუკიდებელი, დემოკრატიული, ერთიანი კორეის შექმნა.

დემოკრატიულ პარტიებთან კონსულტაციის საკითხი ბ-ნმა აჩესონმა აგრეთვე ისე ჩამოაყალიბა, რომ მკვახედ რომ არა ვთქვათ, აშკარად დაშორდა ჭეშმარიტებას. ბ-ნი აჩესონი მხოლოდ იმას იმეორებს, რასაც ერთ დროს ამ საკითხზე წერდა მაშინდელი სახელმწიფო მდივანი მარშალი, ამოსწურავდა რა მთელ საქმეს სიტყვა „დემოკრატიულის“ განსაზღვრით, მაშინ როცა საქმე ეხებოდა არა სიტყვას, არამედ უფრო სერიოზულ უთანხმოებას, რაც იმის შედეგი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები საბოტაჟს უწევდნენ მოსკოვის თათბირის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ კონსულტაციას კორეის დემოკრატიულ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ამერიკის დელეგაცია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კომისიაში ცდილობდა ასეთი თითქოს „დემოკრატიული“ პარტიების რიცხვში უმთავრესად შეეყვანა ლისინმანელთა ბანაკის პარტიები.

იგი ცდილობდა ნამდვილად დემოკრატიული პარტიების სიიდან გამოერიცხა სამხრეთ კორეის მთელი რიგი დიდი დემოკრატიული ორგანიზაციები, როგორიც არის მაგალითად, სრულიად კორეის შრომის კონფედერაცია, სრულიად კორეის გლეხთა კავშირი, კორეის ეროვნულ-რევოლუციური პარტია, სრულიად კორეის ახალგაზრდობის კავშირი და სხვ., რომლებსაც მილიონობით წევრი ჰყავთ. ამერიკის დელეგაცია მოითხოვდა, რომ კონსულტაციაში მონაწილეობა მიეღოთ წვრილ ჯგუფებს, რომლებსაც კორეაში არავითარი ავტორიტეტი არა აქვთ და რომლებიც წარმოადგენდნენ სამხრეთ კორეის ზედაფენების რეაქციულად განწყობილ წრეებს.

ბ-ნმა აჩესონმა არასწორად განაცხადა აქ, რომ საბჭოთა კავშირი წინააღუდგა კონსულტაციაში მონაწილეობა მიეღოთ ისეთ პოლიტიკურ ჯგუფებსა თუ პარტიებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მოსკოვის შეთანხმებით გათვალისწინებულ მეურვეობას. საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავდა კონსულტაციებს იმ დემოკრატიულ პარტიებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც სავსებით უჭერდნენ მხარს მოსკოვის გადაწყვეტილებას კორეის შესახებ. საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვდა, რომ ერთობლივ კომისიასთან კონსულტაციისათვის მოწვეულ პარტიებსა თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ გამოეყოთ საკონსულტაციოდ ისეთი წარმომადგენლები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს მოსკოვის გადაწყვეტილების წინააღმდეგ აქტიური გამოსვლებით.

ამ წინადადებებს დაეთანხმა ამერიკის სარდალი, როგორც ეს ჩანს მისი 1946 წლის 24 დეკემბრის წერილიდან, მაგრამ შეიტანა ზოგიერთი ცვლილება.

ვ. მ. მოლოტოვი დ. მარშალისადმი 1947 წლის 7 მაისის წერილში დაეთანხმა ამ ცვლილებებს და იმედი გამოთქვა, რომ ამრიგად აღარ არსებობს რაიმე მიზეზი გადაიდოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მოწვევა, რომელსაც ხელს უშლიდა უთანხმოება სწორედ კონსულტაციაში კორეის დემოკრატიული პარტიების მონაწილეობის საკითხზე. მაგრამ ამერიკელთა მხარე განაგრძობდა თავის ანტიდემოკრატიულ გეზს, მხარს უჭერდა რეაქციულ ორგანიზაციებს და კონსულტაციაში მონაწილეობას აშორებდა დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

ამერიკის მთავრობა არა მარტო რიცხავდა დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების სიიდან ყველა პარტიასა და ორგანიზაციას, რომლებიც მას არა სურდა და რომლებიც ნამდვილად იყვნენ დემოკრატიული, არამედ რიპრესიების კამპანიაც კი გააჩაღა სამხრეთ კორეის ნამდვილად დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც მხარს

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 29 ოქტომბრის სხდომა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

უპერდნენ მოსკოვის გადაწყვეტილებას და ერთობლივი კომისიის გადაწყვეტილებებს.

ზედიზედ აპატიმრებდნენ დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების მოღვაწეებს. 1947 წელს დააპატიმრეს სახალხო დემოკრატიული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის და გამომცემლობის მრავალი ხელმძღვანელი მუშაკი და მუშა პერსონალი, აგრეთვე სახალხო-დემოკრატიული ფრონტის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები. დააპატიმრეს გლეხთა კავშირის თავმჯდომარე და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები, პროფკავშირთა კონფედერაციის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ქალთა დემოკრატიული კავშირის, კოოპერაციის კავშირის, ლიტერატორთა კავშირის, იურისტთა კავშირის ხელმძღვანელი მუშაკები და მრავალი სხვანი. გარდა ამისა, დააპატიმრეს მშრომელი ხალხის პარტიის ხელმძღვანელობა.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა დელეგაცია ერთობლივ კომისიაში ვერ შეურიგდებოდა ასეთ მდგომარეობას და ამერიკის დელეგაციისაგან მოითხოვდა დაუყოვნებლივ ღონისძიებებს, რათა აღდგენილიყო სამხრეთ კორეაში დემოკრატიული ორგანიზაციებისა და პარტიების არსებობისა და მოღვაწეობისათვის ნორმალური ვითარება და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობის სათანადო პირობები.

ამაზე მიუთითებდა ვ. მ. მოლოტოვიც დ. მარშალს 1947 წლის 23 აგვისტოს წერილში, სადაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ასეთი მდგომარეობა არანორმალურია, შეუწყნარებელია და გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ სწორად შესრულდეს კორეის შესახებ სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებანი, თუ სამხრეთ კორეაში დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მოღვაწეების ეს დევნა დაუყოვნებლივ და სავსებით არ შეწყდებოდა.

ბ-ნი ლოვეტი, რომელიც მაშინ სახელმწიფო მდივნის მოვალეობას ასრულებდა, ვ. მ. მოლოტოვისადმი საპასუხო წერილში არ უარყოფდა, რომ ამერიკის ზონაში აპატიმრებდნენ დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს. იგი ცდილობდა იმით გაემართლებინა ეს, რომ საჭიროა ბრძოლა თითქოს ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ, რომლის მიზანია დაამხოს კანონიერი ხელისუფლება, აგრეთვე კანონი და წესრიგი ამერიკის ზონაში. ნამდვილად არავითარ „ძირგამომთხრელ საქმიანობაზე" არ შეიძლებოდა ლაპარაკი. საქმე მხოლოდ და მხოლოდ ეხებოდა სამხრეთ კორეაში დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობას, მოძრაობისა, რომელიც მიზნად ისახავდა კორეის ნამდვილ გაერთიანებას და დამოუკიდებელი დემოკრატიული კორეის სახელმწიფოს შექმნას.

ლოვეტის წერილი, რომელსაც ბ-ნი აჩესონი აქ ქებას ასხამდა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ვითომდა დემოკრატიული პოლიტიკის დამადასტურებელ საბუთს, პოლიტიკისა, რომლის მიზანი თითქოს არის გააერთიანოს კორეა და უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა და დემოკრატიული წყობილება, ნამდვილად ამტკიცებს, რომ ამერიკის ხელისუფლები სრულიად არ ისწრაფვიან ხელი შეუწყონ კორეაში ნამდვილი დემოკრატიული მთავრობის შექმნას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ კორეის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებში, რომლებიც ლოვეტმა ჩამოაყალიბა, გათვალისწინებული იყო დროებითი ეგრეთწოდებული ზონალური საკანონმდებლო კრებების შექმნა, რომლებსაც ამერიკელთა გეგმის მიხედვით უნდა შეექმნათ დროებითი ეროვნული, ე. ი. სრულიად კორეის საკანონმდებლო კრება. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეაში, ე. ი. საბჭოთა და ამერიკის ზონებში დროებითი საკანონმდებლო კრებების შექმნის შესახებ ასეთი წინადადება არა მარტო ვერ მოსპობდა ქვეყნის ორ ზონად დაყოფას, რაც კორეაში მაშინ უკვე იყო, არამედ პირიქით, განამტკიცებდა კორეის ამ დაყოფას.

ბუნებრივია, რომ ლოვეტის წინადადება ვერ მიიღო საბჭოთა მთავრობამ, რომელიც მტკიცედ ადგას დემოკრატიულ საფუძველზე კორეის გაერთიანების შესახებ მოსკოვის თათბირის პოზიციებს. საბჭოთა მთავრობის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების გამთიშველი წინადადების უარყოფა იმის საბაბი გახდა, რომ შეეწყვიტათ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება კორეის საკითხზე.

„ამ მომენტში, — ამბობდა აქ ბ-ნი აჩესონი, — ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთათვის ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირთან ორმხრივი მოლაპარაკება რაიმე შედეგს ვეღარ მოიტანდა. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი შეგვეძლო, რათა გამოგვესწორებინა საქმე, მაგრამ ვერ ვპოვეთ მეორე მხრის რაიმე გამოხმაურება, ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საკითხი დასვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე".

ჩემ მიერ წინათ ნათქვამიდან ჩანს, თუ სახელდობრ რა გააკეთეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. შეეძლო თუ არა იმას, რაც მათ გააკეთეს, საქმის გამოსწორება, როგორც აჩესონი ამბობდა? ამ კითხვის პასუხი უარყოფითი უნდა იყოს. ამერიკის შეერთებულ შტატებს არაფერი არ გაუკეთებიათ საქმის გამოსასწორებლად, ე. ი. სამხრეთ კორეაში დემოკრატიული მოძრაობის წარმატების უზრუნველსაყოფად, კორეის გაერთიანების, დემოკრატიზაციის, მისი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღორძინების მიზნით, როგორც ეს მოხდა იმ პერიოდში ჩრდილოეთ კორეაში, სადაც განხორციელდა ფართო დემოკრატიული რეფორმები, რომელთა მიზანი იყო ფართო პოლიტიკურ თავისუფლებათა უზრუნველყოფა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

იმ პერიოდში, როცა სამხრეთ კორეაში რეაქცია მძვინვარებდა და ადამიანის ელემენტარული თავისუფლებანი და უფლებები ითრგუნებოდა, ჩრდილოეთ კორეაში შემოღებულ იქნა საყოველთაო საარჩევნო უფლება, გამოიცა ქალთა თანასწორუფლებიანობის კანონი, თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე შეიქმნა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და ჩრდილოეთ კორეის სახალხო კომიტეტი; განხორციელდა მიწის რეფორმა, რომლის შედეგად 725 ათასმა უმიწაწყლო და მიწამცირე გლეხთა მეურნეობამ უფასოდ მიიღო 1 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც წინათ იაპონელ კოლონიზატორებს და მათ კორეელ დამქაშებს ეკუთვნოდათ. ამავე დროს ნაციონალიზებულია იაპონელთა ყოფილი მრეწველობა; გამოიცა რვა საათის სამუშაო დღის, შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის კანონი; სკოლებში აღდგენილ იქნა კორეული ენა, გაფართოვდა სასკოლო ქსელი, განხორციელდა სახალხო განათლების რეფორმა, რის შესაბამისადაც მნიშვნელოვნად გადიდდა მოსწავლეთა რაოდენობა.

(დასასრული იქნება)

გაუმარჯოს ჩინეთის და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოწოდებანი

პეკინი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მოწოდებანი ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მომავალ ერთთვიურთან დაკავშირებით.

„მივესალმებით დიდ საბჭოთა ხალხს, რომელიც ძლევამოსილად აშენებს კომუნიზმს!—ნათქვამია მოწოდებებში. — ჩინელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობა და კავშირი ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების უტყუარი საწინდარია. გაუმარჯოს ჩინეთის და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ მეგობრობას!"

მოწოდებებში გამოთქმულია მადლობა ახალი ჩინეთის მშენებლობაში ჩინელი ხალხისათვის გაწეული დახმარების გამო და ნათქვამია: „მადლობას ვუძღვნით გენერალისიმუს სტალინს, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და საბჭოთა ხალხს ჩინეთის მშენებლობაში მათი უანგარო დახმარებისათვის".

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება მოუწოდებს მუშებს, გლეხებს, მეცნიერ მუშაკებსა და მთელ ჩინელ ხალხს ისწავლონ საბჭოთა ხალხისაგან მშენებლობის მოწინავე მეთოდები „ჩინეთის მოქალაქენო!—ნათქვამია მოწოდებებში,—ბეჯითად ისწავლეთ საბჭოთა კავშირის მშენებლობის მოწინავე გამოცდილება და ამით ემზადეთ ფართო ეკონომიკური და კულტურული მშენებლობისათვის, იბრძოლეთ თქვენი სამშობლოს ინდუსტრიალიზაციისათვის".

მოწოდებანი გამარჯვებას უსურვებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს, ჩინელი ხალხის ბელადს — თავმჯდომარე მაო ძე-დუნს და ჩინელი ხალხის საუკეთესო მეგობარს და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს გენერალისიმუს სტალინს.

ვაშინგტონელი კაციჭამიები

მეატომე დალესის ,,მორალი''

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). სენტ-ლუისის გაზეთმა „პოსტ დისპეტჩმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ ჯონ ფოსტერ დალესთან, რომელმაც განაცხადა, რომ „უკვე მეტად გვიან არის" ატომური იარაღის აკრძალვა ანდა ომში მის გამოყენებაზე უარის თქმა.

დალესმა განაცხადა: „მე მგონია, მორალის თვალსაზრისით სულ ერთია ადამიანს ატომური იარაღით მოკლავენ, თუ რაიმე სხვა იარაღით. მე ვნახე ტოკიო, ხიროსიმა და ნაგასაკი. მე რომ ამარჩევინონ, ვამჯობინებდი სიკვდილს იმ ქალაქში, სადაც ატომური ბომბები ჩამოყარეს და არა იმ ქალაქში, რომელსაც ცეცხლგამჩენი ბომბები დააყარეს. ატომური ბომბით სიკვდილი გაცილებით უფრო მსუბუქია".

დალესი ამტკიცებდა, რომ „ვერავითარი ხელშეკრულება ან კონტროლის სისტემა" თითქოს ვერ შეუშლის ხელს იმას, რომ „საყოველთაო ომში" ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებანი გამოიყენონ.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 29 ოქტომბერს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები გასულ დღეს დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

გუშინ ღამით ამერიკის „ბ-29" ბომბდამშენებმა მხეცურად დაბომბეს მშვიდობიანი სოფლები ფხენიანის მიდამოებში. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ბევრი ბავშვი, მოხუცი და ქალი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 2 თვითმფრინავი.

ადენაუერის დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ!

გერმანიის კომპარტიის გამგეობის მოწოდება გერმანიის მოსახლეობისადმი

ბერლინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მოუწოდა წინააღუდგეს ბონის ხელისუფალთ, რომელთაც განზრახული აქვთ გერმანიის კომუნისტური პარტიისაგან ბონის ბუნდესტაგის 8 დეპუტატს წაართვან საპარლამენტო ხელშეუხებლობა, და დაიცვას თავისი დემოკრატიული თავისუფლებანი.

ადენაუერმა, ნათქვამია მოწოდებაში, ბუნდესტაგში წინადადება შეიტანა საპარლამენტო ხელშეუხებლობა ჩამოერთვათ და სამართალში მიცემულ იქნან ბუნდესტაგის დეპუტატები მაქს რაიმანი, ფრიც რიშე, ჰაინც რენერი, ვალტერ ფიში, ჰერტრუდა შტრობახი, ოტო ნიბერგალი, ვილი აგატცი და ოსკარ მიულერი.

ეს ტერორისტული ღონისძიება საშიშია არა მარტო კომუნისტური პარტიისათვის, არამედ დასავლეთ გერმანიის მთელი პროგრესული და დემოკრატიული ძალებისათვის.

ადენაუერს, განაგრძობს მოწოდება, განზრახული აქვს ჩააჩუმოს მამაცი პატრიოტები და ისინი, ვინც იბრძვის სრულიად გერმანიის შეთანხმებისათვის, ოთხმხრივი თათბირის მოწყობისათვის „საერთო ხელშეკრულების" რატიფიკაციის წინააღმდეგ.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ადენაუერს განზრახული აქვს ამერიკელი გენერლების ზეგავლენით „საერთო ხელშეკრულება", რომლის რატიფიკაცია არაერთხელ გადაიდო ხალხის წინააღმდეგობის შედეგად, დაამტკიცებინოს ბუნდესტაგს 26 ნოემბერს. „საერთო ხელშეკრულების" რატიფიკაციისადმი და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულებისადმი წინააღმდეგობა დღითიდღე ძლიერდება მოსახლეობის ყველა ფენაში, ბუნდესტაგის დეპუტატებს შორის, აგრეთვე ადენაუერის კოალიციის რიგებში.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს მშრომელებს და დასავლეთ გერმანიის მთელ მოსახლეობას მტკიცე პროტესტი განაცხადონ იმის წინააღმდეგ, რომ ბონის ხროვას განზრახული აქვს საპარლამენტო ხელშეუხებლობა წაართვას კომუნისტ დეპუტატებს. კომპარტია მოუწოდებს მათ ხელი შეუშალონ ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, რომლებიც ახალ უბედურებას უქადიან გერმანელ ხალხს.

ტრიუგვე ლი ამერიკის საიდუმლო პოლიციასთან თანამშრომლობს

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ტრიუგვე ლის შორის არსებობს „კონფიდენციალური შეთანხმება" იმ „ამერიკელი კომუნისტების" შესახებ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატში მუშაობენ.

ამ წარმომადგენლის სიტყვით, ტრიუგვე ლი დახმარებას უწევს მათ „იმ ამერიკელი მოქალაქეების ვინაობის გამორკვევაში", რომლებიც უკვე მიღებული არიან სამუშაოდ ან რომელთა მიღებას აპირებენ და „რომლებიც, როგორც ჩანს, კომუნისტები არიან".

ინგლისის ყოფილი ვაჭრობის მინისტრის ვილსონის განცხადება

ლონდონი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). გამოვიდა რა 28 ოქტომბერს ლონდონში, ყოფილმა ვაჭრობის მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა მოუწოდა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისაკენ. როგორც გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, ვილსონმა თქვა, შეერთებული შტატები ინგლისს საექსპორტო ბაზრებს ართმევენო. „დიქრი გერმანიის, იაპონიისა და შეერთებული შტატების გააფთრებული კონკურენციის შესახებ, რასაც ჩვენ უახლოეს მომავალში წავაწყდებით, თავზარდამცემია"—განაცხადა მან. ვილსონის აზრით, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საქონლის გაცვლა შეიძლება მნიშვნელოვნად გადიდდეს.

იაპონიის მინისტრთა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბება

ტოკიო, 29 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ტოკიოში გამოაცხადეს იოსიდას ახალი (მეოთხე) კაბინეტის ჩამოყალიბება.

შანხაი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიოს ცნობებიდან ჩანს, იაპონიის მინისტრთა ახალი კაბინეტი, რომელიც პრემიერ-მინისტრმა იოსიდამ ჩამოაყალიბა, თითქმის მთლიანად შედგება ლიბერალური პარტიის — იაპონიაში ყველაზე რეაქციული პოლიტიკური პარტიის — წევრებისაგან. ამ პარტიის მეთაურია იოსიდა.

იაპონიის ახალი კაბინეტის შემადგენლობის თითქმის ნახევარი ის პირები არიან, რომლებმაც თავის დროზე წმენდა გაიარეს წყნარ ოკეანეზე აგრესიული ომის მომზადებისა და გაჩაღების საქმეში იაპონელ მილიტარისტებთან თანამშრომლობისათვის. ახალ კაბინეტში შესულ მინისტრებს ინუკაის, ოგასავარას, ისიის, ტოცუკას, კიმურას, ოგატასა და მუკაის წინათ ჩამორთმეული ჰქონდათ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება. კერძოდ, ტაკეტორა ოგატას ეკავა უპორტფელო მინისტრის პოსტი სამხედრო დამნაშავის კოისოს კაბინეტში; ტადახარუ მუკაი არის მიცუის კონცერნის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა იაპონელ მილიტარისტებთან; კიუიციირო ტოცუკა მუშაობდა ყოფილ შინაგან საქმეთა სამინისტროში—ძველი იაპონიის უაღრესად რეაქციულ დაწესებულებაში; მიცუძირო ისიი წინათ მუშაობდა ტოკიოს პოლიციის სამმართველოს აპარატში და ფორმოზის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის აპარატში.

როგორც იაპონიის რადიოს ცნობიდან ირკვევა, იოსიდას ახალი კაბინეტის შემადგენლობა მკაცრად გააკრიტიკეს იაპონიაში, როგორც უფრო რეაქციული, ვიდრე წინანდელი კაბინეტი. მაგალითად, იაპონიის მემარცხენე სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ სუზუკიმ განაცხადა, რომ ახალი კაბინეტი მნიშვნელოვანწილად შედგება წმენდაგავლილი პირებისაგან და ყოფილ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეებისაგან. დაახასიათა რა იოსიდას ახალი კაბინეტის შემადგენლობა, იაპონიის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების — პროფკავშირთა გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ სუსუმუ ფუძიტამ აღნიშნა, ეს კაბინეტი მთლიანად რეაქციული ელემენტებისაგან შედგებაო. თავისი ხასიათით იგი უფრო რეაქციულია, ვიდრე წინანდელი კაბინეტი.

ქუთაისელი ახალგაზრდობის შეხვედრა ლ. ტ. კოსმოდემიანსკაიასთან

ქუთაისი, 29 ოქტომბერი. (საქდესი). ქუთაისელმა ახალგაზრდობამ საზაფხულო თეატრში შეხვედრა მოუწყო საბჭოთა კავშირის გმირის ზოია კოსმოდემიანსკაიას დედას ლიუბოვ ტიმოთეს ასულ კოსმოდემიანსკაიას. შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ სახელგანთქმული საბჭოთა პატრიოტის დედას, პატრიოტისა, რომელმაც სიცოცხლე შესწირა საყვარელი სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა თ. გაბისონიამ, ქალთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ ზ. მიქელაძემ, ვაკის მეცხრე საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა აღფრთოვანებით ილაპარაკეს, რომ ზოია კოსმოდემიანსკაიას უკვდავი სახე სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების ხსოვნაში, როგორც უშიშრობის, სიმტკიცის სიმბოლო, სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სიმბოლო.

დამსწრეებმა განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინეს ლ. ტ. კოსმოდემიანსკაიას ნაამბობი მისი შვილების — გმირების ზოიას და ალექსანდრეს შესახებ, რომლებიც ბავშვობიდანვე გამსჭვალული იყვნენ უსაზღვრო სიყვარულით მძლავრი საბჭოთა სამშობლოსადმი.

ახალგაზრდობამ ლ. ტ. კოსმოდემიანსკაიას მიართვა ფოტოალბომი „საბჭოთა საქართველო".

კორეელი მწერალი რ. კიმი თბილისის სტუდენტებს ესტუმრა

კორეელი მწერალი რ. კიმი, რომელიც სტუმრად იყო საქართველოს დედაქალაქში, ეწვია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აქ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში მოაწყო მწერლის შეხვედრა პროფესორმასწავლებელთა შემადგენლობასა და სტუდენტებთან.

რომან კიმმა, რომელიც ავტორია ნაწარმოებისა „სუჩონში ნაპოვნი რვეული". ილაპარაკა, თუ რა გმირულად იბრძვის კორეელი ხალხი თავისი დამოუკიდებლობისათვის ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ, ილაპარაკა თავის შემოქმედებით გეგმებზე. შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ მამაცი კორეელი ხალხის წარმომადგენელს.

კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ნ. ვასაძემ ილაპარაკა საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის ძმურ მეგობრობაზე, ყველა კეთილი ნების ადამიანის ურყევ მისწრაფებაზე—დაიცვან მშვიდობა. კორეისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა ა. გეწაძემ, ნ. დუმბაძემ და ა. სულაკაურმა. რომან კიმს მიართვეს სტუდენტთა ლიტერატურული ალმანახის „პირველი სხივის" ორი წიგნი. (საქდესი).

ქართული კონსერვები შორეულ აღმოსავლეთში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის საქართველოს საკონსერვო ტრესტმა მოსკოვის, ლენინგრადის, დონბასისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მოსახლეობისათვის გამოჰყო და უკვე გაგზავნა 2.500.000 ქილა კონსერვი, მურაბა, კომპოტი და ჯემი. ქართული კონსერვების დიდი ნაწილი ამ პარტიიდან გაგზავნილია შორეულ აღმოსავლეთსა და უკიდურესი ჩრდილოეთის ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში.

ვახანის საკოლმეურნეო ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). სოფელ ვახანში მდინარე ვახანურაზე მთავრდება 120 ცხენისძალიანი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის აგება. სადგური დენს მიაწვდის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას, მის საწარმოებს და კოლმეურნეთა ოჯახებს.

ვახანის საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური უნდა ამუშავდეს მიმდინარე წლის ბოლოს. დიდი წარმატებით მუშაობენ მის აგებაზე დურგალი მ. კოპაძე, მებეტონეები მ. ხომასურიძე, ნ. არევაძე, ვ. მაღრაძე, ა. გუდაძე და სხვები, რომლებსაც ბრიგადირი ვ. კიკნაძე ხელმძღვანელობს. ამ სადგურის მშენებლობაში დაწინაურდნენ კომკავშირელი ქალიშვილები ქ. კიკნაძე და ა. მხატვარი.

ლაშქრობა მწვერვალ ქაუხზე

დუშეთი. (საკ. კორ.). ოქტომბრის რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად რაიონის ახალგაზრდობამ მოაწყო მასობრივი ასვლა მწვერვალ ქაუხზე, რომელიც მდებარეობს ხევსურეთში, ბარისახოდან 22 კილომეტრის დაშორებით.

26 ოქტომბერს იმ ადგილას, სადაც არაგვის სათავეა, ასოცზე მეტმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი. აქ იყვნენ დუშელი, ანანურელი, ფასანაურელი, არანისელი და ბარისახოელი ახალგაზრდები, ალპინიზმის ინსტრუქტორები, რაიონის პარტიული და კომკავშირული მუშაკები. ისინი ემზადებოდნენ იმისათვის, რომ დილით ადრე დაეწყოთ დათოვლილი, ძნელად ასასვლელი მწვერვალის იერიში.

27 ოქტომბერს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე, ოცეულებად დანაწილებული ალპინისტები შეუდგნენ რთულსა და სახიფათო გზას. ამინდი ხელს უწყობდა ალპინისტებს. 3 საათისა და 30 წუთის შემდეგ ოცეულმა, რომელსაც ალპინისტი ა. ქავთარაძე მეთაურობდა, პირველმა მიაღწია მწვერვალს. მას მიჰყვნენ დანარჩენებიც. ზღვის დონიდან 3.650 მეტრზე—ქაუხის მწვერვალზე, სადაც წითელი დროშა აფრიალდა, შედგა მიტინგი. ალპინიადის ხელმძღვანელმა, საქართველოს ალპური კლუბის დირექტორმა ა. ივანიშვილმა და კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანმა თ. დუდაურმა ახალგაზრდა მთასვლელებს მიულოცეს გამარჯვება და ახალი წარმატებები უსურვეს მათ.

ამავე დღეს ალპინიადის მონაწილენი დაბრუნდნენ ბარისახოში. მათ მხურვალედ მიესალმნენ ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 91 ახალგაზრდამ, რომლებსაც გადაეცემათ „სსრ კავშირის ალპინისტის" I საფეხურის ნიშნები.

ლაშქრობას ხელმძღვანელობდნენ ალპინისტები ა. ქავთარაძე, ო. კაპანაძე, გ. თიკანაძე, რ. ნათაძე, შ. გამხიტაშვილი, გ. ყიფიანი და დ. ყანდარელი.

უნივერსიტეტის სტუდენტთა ალპინიადა

ამ დღეებში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინისტურ-ტურისტულმა სექციამ მოაწყო სტუდენტთა მასობრივი ასვლა მწვერვალ უსახელოზე (3.800 მეტრი), რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე თრუსოს რაიონში.

ალპინიადა მიმდინარეობდა ოთხ ნაკადად. მასში მონაწილეობა მიიღო 214 კაცმა. ალპინიადის მონაწილენი სოფ. გუდაურიდან (ყაზბეგის რაიონი) ავიდნენ ყელის პლატოზე, შემდეგ გადალახეს 3.200 მეტრი სიმაღლის უღელტეხილი შვიდი ძმის ქედზე და ავიდნენ უსახელო მწვერვალზე მის ჩრდილოეთ ციცაბო თოვლ-ყინულოვანი და კლდოვანი ფერდობით, ხოლო დაეშვნენ სამხრეთ-დასავლეთის კლდოვანი ღარით. მწვერვალზე ასვლის შემდეგ მთასვლელებმა ესიკომის უღელტეხილით (3.300 მეტრი) გადალახეს კავკასიონის მთავარი ქედი და დაეშვნენ თრუსოს ხეობისაკენ.

ალპინიადა გრძელდებოდა 10 დღეს. მას ხელმძღვანელობდა ალპინიზმის ინსტრუქტორი ო. გიგინეიშვილი.

ახალი ამბები

⊙ თბილისში, ლენინის რაიონში გამოყოფილია მიწის ნაკვეთი ახალი საავადმყოფოს შენობის ასაგებად.

⊙ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ახალ მექანიზებულ კომბინატში ჩაუდგნენ 250 და 200 გრამად შეფუთული კარაქის გამოშვებას თბილისში სავაჭრო ქსელში გამოსატანად.

⊙ თბილისის ხილბოსტანვაჭრობის დირექცია შეუდგა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებში შეძენილი ხმელი ხილის, კარტოფილის, ხახვის და სხვა ბოსტნეული შემოზიდვას. სულ ამჯერად შემოზიდული იქნება 80 ტონა ბოსტნეული — კარტოფილი, ხახვი და სუფრის ჭარხალი.

⊙ თბილისისა და ქუთაისის ოლქების კიდევ 36 კოლმეურნეობამ დაიწყო თბილისის საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სისტემატურად შემოზიდვა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს რადიოგადაცემათა 1 ნოემბრის პროგრამა

რადიოსადგურით 1.571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.25 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 07.40 — „პიონერთა დაფიონი"; 09.20 — ქართული ხალხური სიმღერები; 11.00 — კონცერტი პროკოფიევის ნაწარმოებებიდან; 11.25 — საუბარი სტალინგრადის დიდი ჰიდროკვანძის შესახებ; 12.15—კონცერტი ჰაიდნის ნაწარმოებებიდან; 12.45—საბჭოთა კომპოზიტორების საფორტეპიანო პიესები; 17.15 საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. საუბარი: „რა არის ქამელეონი"; 18.15 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი; 19.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.45 — გადაცემა მრეწველობის მუშაკთათვის. **რადიოსადგურით 1.500 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — ქალაქის ქსელით—რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. ჩაკალიდის კონცერტი. რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — კონცერტი ქართველ ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 21.30 — საუბარი: „მარქსიზმის წარმოშობა—რევოლუციური გადატრიალება ფილოსოფიაში"; 22.00 — ლიტერატურული გადაცემა: თანამედროვე ფრანგი პროგრესული მწერალი პოლ ელუარი; 22.20 — საოპერო მუსიკის კონცერტი; 00.05 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ჩაძირული ქვები; **მარჯანიშვილის სახელობის** — ლამაზი მამაკაცი; **გრიბოედოვის სახელობის** — მაკარ დუბრავა (აბონემენტი 41, 42); **სომხური დრამის** — კლდე (პრემიერა); **მუსიკალური კომედიის** — როზ-მარი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩვენი ადამიანები (აბონემენტი 43, 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—მისი მეგობრები (6 ს.); **სანიტარული კულტურის**—მშვიდობის სიმფონია.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წლის 12 ნოემბერს დღის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **პოლიკარპე პარმენის-ძე ჯაჯანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ზმნათა პირველი სერიის ფორმათა წარმოება ახალი აღთქმის წიგნების ერთი ძველი ხელნაწერის მიხედვით".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი — დოქტორი ი. აბულაძე, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი ი. იმნაიშვილი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სახდაზღვევა ნებაყოფლობითი წესით აზღვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს, თივას, ჩალას, მეცხოველეობის პროდუქტებს, ვენახებისა და ბაღების, აგრეთვე ბოსტნეულის მოსავალს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას; **ანაზღაურებს ზარალს** სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაღუპვის ან დაზიანებისას, რაც გამოწვეული იქნება ცეცხლით, მეხის დაცემით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ქარიშხლით, გრიგალით და სხვა სტიქიური უბედურებით. კოლმეურნეობათა გამგეობებო! დააჩქარეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაზღვევის ხელშეკრულებების დადება.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილებასთან არსებობს სტენოგრაფთა ბიურო ქართული და რუსული ჯგუფებით. ბიურო მომსახურებას უწევს ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

სტენოგრაფების სამუშაოზე გამოძახება ხდება თბილისის საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების საშუალებით ტელეფონით № 3-70-85 და 3-10-00 დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

ანგარიშის განაღდება ხდება მხოლოდ გადარიცხვით.

მეუღლე აგრაფინა, შვილები კონსტანტინე, ვლადიმერ, გიორგი, სერგო, ნასტია, საშა, რძლები ბაბილინა, ლიზა, ალექსანდრა, სონია ნინუები შვილებით, სუსანა, სტეფანე შენგელიები იუწყებიან **დიმიტრი ბეჟანის-ძე ნინუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-XI ქ. სამტრედიაში, გამოსვენება ბინიდან, კაგანოვიჩის ქ № 41.

მშობლები აგრაფინა, მიხეილ, ძმები გრიგოლ, ილია დადუნაშვილები ოჯახებით, მეუღლე ვარლამ, შვილები ეთერ ოჯახით, თამაზ, დედამთილი ლუბა, მაზლები გრიგოლ, დიმიტრი ჯანელიძეები ოჯახებით იუწყებიან **ვერა მიხეილის ასულ დადუნაშვილი-ჯანელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-X, 1-XI, 7 ს. გამოსვენება 2-XI, 2 ს. სულხან-საბას ქ. № 7.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ოლღა სტეფანეს ასულ ქანტურიშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გამწვანების სექტორის თანამშრომლები იუწყებიან **ვასილ დარისპანის-ძე ფხაკაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, და ოლღა, შვილები ლეილა, გულნარა, სიძეები ა. ცვერიკი, ა. ბახტაძე, შვილიშვილები ლია, ზურაბ, თეიმურაზ, თამარ იუწყებიან **გრიგოლ თეიმურაზის-ძე ჩოჩიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-X, 1-XI, 7 ს. გამოსვენება 2-XI, 3 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 3.

დაბა აბაშის ქალთა საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან **გრიგოლ ჩოჩიას** გარდაცვალებას.

შვილები დავით, მაყვალა, ალისა, ელენე, ვერა, სიძეები შ. ვარდოსანიძე, გ. კახიძე, ს. გუნცაძე, ლ. სვანელი, შვილიშვილები ეკატერინე, ნოდარ, გივი, ნუგზარ, ეთერ, ნანა, პეტრე იუწყებიან **ფუთუ დარისპანის ასულ შოთაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ჩხარში 2-XI, 4 ს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-ტექნიკური კანტორის კოლექტივი იუწყება **პელაგია ესეს ასულ ცინცაძე-თარგამაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-XI საჯავახოში.

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის II ქირურგიული კლინიკის, ქალაქის I საავადმყოფოს, პირველ და მეოთხე ქირურგიულ განყოფილებათა თანამშრომლები იუწყებიან **ფუთუ დარისპანის ასულ შოთაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოხ—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების—3-81-84, პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და უფლებათა ცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების—3-51-81, გამომშვებების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03695